ლელო

30 იანვარი, შაბათი, 1993 წ.
№ 6 (10 794) ● ფასი 3 მან.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიზნესმენთა საყურადღებოდ!

„ლელოს" ყველა ასაკისა და პროფესიის მკითხველი ჰყავს. ამდენად, ჩვენს გაზეთში თქვენი საქმიანობისა და პროდუქციის რეკლამით ბევრი შეგიძლიათ დააინტერესოთ. გარწმუნებთ, „ლელოში" თქვენი რეკლამა ძალზე ეფექტურ შედეგს გამოიღებს. გელით!

„ლელოს" რედაქცია

• • •

კრივის ეროვნულმა ფედერაციამ „ლელოს" დახმარების დროებით ანგარიშზე ავანსად გადარიცხა 50 000 მანეთი.

„ლელოს" დროებითი ანგარიშის ნომერია 100609529, კოდი 521664. საბურთალოს რაიონის ბინსოცბანკი, „ლელოს" დამატება „მერანი" („ლელოსათვის").

პირველი მონაწილე დამოუკიდებელ საქართველოდან

ახლახან ფინეთში ფიგურულ ციგურაობაში ევროპის პირველობაზე, როგორც დამოუკიდებელი საქართველოს წარმომადგენელმა, სპორტის ამ სახეობაში პირველმა იასპარეზა თბილისელმა ბესარიონ ცინცაძემ. 29 მონაწილეს შორის ჩვენმა დებიუტანტმა მე-16 ადგილი დაიკავა. ამავე შეჯიბრებაზე მსაჯად იყო მიწვეული წარსულში ცნობილი მოციგურავე, ამჟამად საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი გია იაშვილი.

ბესარიონ ცინცაძის სპონსორი იყო კომერციული ფირმა „შანსი კბს", რომელმაც თავის სტრუქტურაში მოციგურავეთა კლუბიც შექმნა.

კანონპროექტების შემუშავებას — საჯაროობა

საქართველოს პარლამენტის კომისიას

სპორტისა და ტურიზმის საპარლამენტო კომისიის სახელზე კვლავ მოდის წინადადებები.

ვ. მენაბდე (თბილისი) — რესპუბლიკაში დღეს ტურიზმის კომერცია მოდად იქცა. ეს კარგია, მაგრამ წესრიგი მაინც უნდა დამყარდეს. თორემ განუკითხაობა და თვითნებობა ცუდი გზით წაგვიყვანს, მით უმეტეს, როცა საქმე ეხება ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტს უცხოეთში. კანონში ტურიზმის შესახებ ამას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და შემოვდივარ წინადადებით პროექტში შევიდეს ტურისტული ჯგუფების ლიცენზირების აუცილებლობა.

გ. გელაშვილი (ხაშური) — კანონპროექტში სპორტის შესახებ აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული შრომითი კოლექტივების ფიზკულტურის მეთოდისტების სოციალური დაცვის საკითხი.

პარლამენტის კომისიის სახელზე შემოვიდა კოლეჯებისა და ტექნიკუმების ფიზაღზრდის ხელმძღვანელთა (ნ. გაგოშიძე, ი. სალაძე, ზ. ოსეყმაშვილი, ვ. ფლორავა და სხვ.) ერთობლივი განცხადება, სადაც აღნიშნულია, რომ გაწეულ მუშაობაში ხელფასს მხოლოდ სანახევროდ უხდიან, მოითხოვენ თავიანთი უფლებების დაცვას და წინადადებებით შემოდიან ფიზაღზრდის ხელმძღვანელთა ინტერესებმა კანონპროექტშიც ჰპოვოს ასახვა.

ჩვენები უცხოეთის კლუბებში

კატოვიცეში აფასებენ ქართული ფეხბურთის სტილს

საუბარი არდადეგების დღეებში პოლონეთის საფეხბურთო ჩემპიონატში სიმშვიდემ დაისადგურა. ქვეყნის კლუბებში მოთამაშე უცხოელი ფეხბურთელების უმეტესობამ ორკვირიანი დასვენების გატარება სამშობლოში ამჯობინა. მცირე ხნით იმყოფებოდა შინ თბილისის „დინამოს" ყოფილი კაპიტანიც, ამჟამად კატოვიცეს გკს-ს წევრი ზაზა რევიშვილი.

● **როგორ თვლით, რამდენად გამართლებული იყო თქვენს მიერ გადადგმული ნაბიჯი — ევროპის საკლუბო თასების წინ „დინამოს" მიტოვება და კატოვიცეს კლუბში გადასვლა?**

— „დინამოს" მიტოვება არასოდეს მიფიქრია, მაგრამ ოჯახურმა ტრაგედიამ — მამაჩემის ტრაგიკულმა სიკვდილმა, ბევრი რამ შეცვალა...

მესამე ეროვნული ჩემპიონატის მიწურულს „დინამოს" ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების შემდეგ გადავწყვიტე კატოვიცეში გადასვლა. ეს კლუბი ჯერ კიდევ შარშან მეპატიჟებოდა, მაგრამ მაშინ ვყოყმანობდი...

● **კლუბის ხელმძღვანელები, ალბათ, კარგად გიცნობდნენ.**

— შარშან „დინამო" კატოვიცეს გკს-ს მიწვევით საწვრთნელ შეკრებაზე იყო პოლონეთში და ამ კლუბთან ორი მატჩი გამართა. მე მხოლოდ ერთში მივიღე მონაწილეობა და ორი ბურთი გავიტანე. მერე ტელექსი მივიღეთ, გკს-ს ხელმძღვანელობა ოფიციალურად მიწვევდა.

იხ. მე-3 გვ.

სურათზე: ზაზა რევიშვილი ჰაერში ბურთისთვის ბრძოლაში.

„შევარდენის" ლაურეატები

1992 წლის სპორტული სეზონის შედეგების მიხედვით

1. **კახი კახიაშვილი** — ცხინვალი. ბარსელონაში 25-ე ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ძალოსნობაში, ევროპის ჩემპიონი, მსოფლიო თასის მფლობელი;
2. **რამაზ ფალიანი** — მესტია. ბარსელონაში 25-ე ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი კრივში;
3. **ლელა მესხი** — თბილისი. ბარსელონაში 25-ე ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი ჩოგბურთში;
4. **ნინო სალუქვაძე** — თბილისი. ბარსელონაში 25-ე ოლიმპიური თამაშების მონაწილე ტყვიის სროლაში (V ადგილი), თანამეგობრობის დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჩემპიონატში გამარჯვებული, მსოფლიო თასის ეტაპის II პრიზიორი, უძლიერესთა საერთაშორისო ტურნირის (ლოზანა) II პრიზიორი;
5. **ნანა იოსელიანი** — მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებული ჭადრაკში;
6. **ზაურ ცხადაძე** — თბილისი. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი მკლავჭიდში;
7. **ვეფხია ავალიანი** — რუსთავი. I ადგილი მსოფლიო პირველობაზე ახალგაზრდებს შორის ჭიდაობა სამბოში;
8. **ბესიკ ზურაბიანი** — ოზურგეთი. I ადგილი მსოფლიო პირველობაზე ჭაბუკებს შორის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში;
9. **დავით პოლოხიანი** — გორი. I ადგილი ევროპის პირველობაზე ახალგაზრდებს შორის თავისუფალ ჭიდაობაში;
10. **არმაზ ჯალაბაძე** — 1992 წლის საქართველოს ფალავანი ქართულ ჭიდაობაში.

საუკეთესო ნაკრები გუნდის წევრები

ნონა გაფრინდაშვილი, ნანა იოსელიანი ნინო გურიელი (ყველა— თბილისი) — I ადგილი მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე.

საუკეთესო მწვრთნელი

1. **ვანო გრიქუროვი** — ცხინვალი, ოლიმპიური ჩემპიონის კახი კახიაშვილის მწვრთნელი.

დასახელებული იყვნენ აგრეთვე სპორტსმენები: ნინო ლუარსაბიშვილი (ჩოგბურთი), ბესიკ ერაშვილი (სამბო), სარდიონ იაშვილი (სამბო), ელდარ კურტანიძე (თავისუფალი ჭიდაობა); ზურაბ აზმაიფარაშვილი (ჭადრაკი), ნინო ხურციძე (ჭადრაკი).

მწვრთნელები: ალექსი ჯაფარიძე (კრივი), დავით ქავთარაძე (კრივი), ლავრენტი კაციაშვილი (სამბო), ნუგზარ სხირელი (თავისუფალი ჭიდაობა), შოთა კიკაბიძე (თავისუფალი ჭიდაობა), იგორ ეფიმოვი (ჭადრაკი), გიგუშა ლარიბაშვილი (ჩოგბურთი), ვახტანგ სალუქვაძე (ტყვიის სროლა), ზურაბ ზურაბიანი (ბერძნულ-რომაული ჭიდაობა).

ჩემპიონთა თასზე

ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკების საფეხბურთო ჩემპიონთა თასის გათამაშებაში, რომელიც მოსკოვში მიმდინარეობს, თბილისის „დინამომ" თავის ჯგუფში მეორე მატჩი კიშინიოვის „ზიმბრულს" მოუგო — 3:1, ხოლო მესამე ფრედ დაამთავრა თურქმენეთის „კოპეტდაგთან" — 2:2.

ნახევარფინალში თბილისელები გუშინ მოსკოვის „სპარტაკს" შეხვდნენ. მეორე ნახევარფინალში იბრძოდნენ პანევეჟისის „ეკრანასი" (ლიტვა) და მინსკის „ბელარუსი".

ინფორმაცია

● **მონრეალი.** ნჰლ-ის ჩემპიონატში გაიმართა ერთ-ერთი პრინციპული მატჩი „მონრეალ-კანადიენსსა" და „ბოსტონ ბრუინზს" შორის. გაიმარჯვეს მონრეალელებმა დამატებით დროში — 3:2 (1:1, 1:0, 0:1, 1:0).

● **ესტორილი.** „ფორმულა-I-ის" სამგზის ჩემპიონმა ფრანგმა ალენ პროსტმა („უილიამს-რენო") პორტუგალიის ამ ქალაქში მეორე სავარჯიშო ცდაზე საუკეთესო დრო აჩვენა — 1 წუთი და 13,35 წამი. ერთი დღით ადრე იმავე ტრასაზე ყველას გერმანელმა მიჰაელ შუმახერმა („ბენეტონ-ფორდი") აჯობა — 1:14,40.

დაეხმარეთ!

6 წლის თბილისელი გოგონა ქრისტინე აბჟანდაძე საჭიროებს მკურნალობას საზღვარგარეთ.

გთხოვთ გაითვალისწინოთ პატარა ქრისტინეს მდგომარეობა, გამოიჩინოთ თანადგომა და ქველმოქმედების სახით შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმაროთ. თანხა მანეთებში შეიძლება გადარიცხოთ მისამართზე: საქართველოს ეროვნული ბანკი „იბერია-ბანკი" ა/ა 700161885 მფო 52771 ს/ა 700700938, აბჟანდაძე ქრისტინე ავთანდილის ასული.

დღეს თბილისის სპორტის სასახლეში...

ოცდამეთერთმეტე. ტრადიციული...

თავისუფალ ჭიდაობაში თბილისის საერთაშორისო ტურნირს, რომელიც სახელოვანი ქართველი ფალავნის, მსოფლიო ორგზის ჩემპიონის ვახტანგ ბალავაძის სახელს ატარებს, სამი ათეული წლის ისტორია აქვს — საფუძველი მას 1962 წელს ჩაეყარა. ამ ხნის განმავლობაში თბილისის სარბიელი პლანეტის თითქმის ყველა ძლიერესმა მოჭიდავემ მოსინჯა. უფრო ხშირად, ზოგნი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში უმაღლესი სპორტული ტიტულებით დამშვენებულნი ჩამოდიოდნენ, ზოგმა კი ამ ტურნირში გადადგა პირველი ნაბიჯები საერთაშორისო სარბიელზე და შემდეგ თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია. თბილისი ყველა მათგანისთვის კარგი მასპინძელი იყო და ამიტომაც შეინარჩუნეს სტუმრებმა ამ ტურნირებზე კეთილი მოგონებები.

1969 წლამდე ტურნირი ჩემპიონებსა და პრიზიორებს რვა წონით კატეგორიაში ავლენდა, მერე კი — ათში. პირველი ჩემპიონები წონითი კატეგორიების მიხედვით იყვნენ: ზაურ შეყრილაძე (საქართველო), აიდინ იბრაჰიმოვი (აზერბაიჯანი), ვლადიმერ რუბაშვილი, ზარიბეგ ბერიაშვილი, გურამ სალარაძე, შოთა

იხ. მე-3 გვ.

დინების წინააღმდეგ ვერც ნავით იცურებ

ამბავი, რომელმაც საქმე ბოლოსდა ბოლოს საქართველოს მთავრობამდე, რესპუბლიკის პარლამენტის სპორტისა და ტურიზმის კომისიამდე და სახელმწიფო არბიტრაჟამდე მიიყვანა, ჯერ კიდევ 1990 წლიდან იღებს სათავეს და მერე ზოგიერთების უყურადღებობამ, ზოგიერთების მაამებლურმა პოზიციამ, ზოგიერთების მხრიდან უფლებების გადაჭარბებამ და ხშირ შემთხვევაში უკანონობამ, თანდათან გაამწვავა ვითარება და ერთმანეთს დაუპირისპირა არა მარტო ადამიანები, არამედ ორგანიზაციებიც კი.

ჯერ გავეცნოთ საპარლამენტო კომისიის დასკვნას: „თბილისის ცენტრალური სანიჩბოსნო ბაზის თანამშრომლებმა 1990 წლის 24 აპრილს საერთო კრებაზე პირველად წამოჭრეს საკითხი კოლექტივზე იჯარით ბაზის გადაცემის თაობაზე. 20 დღის შემდეგ კი კრებამ განიხილა ასოციაცია „აბჯარის“ წინადადება. დაადგინეს: ბაზა „თანამშრომლებთან ერთად“ გადაეცეს „აბჯარს“ ერთი წლით. „აბჯართან“ იმავე დღეს გაფორმდა ხელშეკრულება. 1991 წლის 1 ოქტომბერს მიიღეს წესდება, რომელიც დაამტკიცა თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველომ. ბაზას ეწოდა სპორტკომპლექსი „მტკვარი“. იმავე დღეს დაიდო ხელშეკრულება „მტკვარსა“ და სამმართველოს შორის ხუთი წლით, რომლის ძალითაც „მტკვარი“ სამმართველოს გადაუხდიდა 8 პროცენტს მოგებიდან და მასვე ჩააბარებდა ბალანსს. იმავე წლის 28 ივნისს, სამმართველოს ბრძანებით, როგორც ექსპერიმენტი, „მტკვარს“ ხუთი წლით მიეცა ბანკში ანგარიშის გახსნის უფლება.

1992 წლის 2 ივნისს „აბჯარსა“ და „მტკვარს“ შორის განახლდა ხელშეკრულება ხუთი წლით.

1992 წლის 8 აპრილს კრწანისის რაიონის გამგეობამ რეგისტრაციაში გაატარა „მტკვარი“, საფუძვლად გამოიყენა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 17 მარტის № 323 დადგენილება „სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“.

მას შემდეგ, რაც სპორტულ ფედერაციებს, როგორც იურიდიულ პირებს, მიეცათ სახეობების მიხედვით სპორტული ბაზების ბალანსზე მიღების უფლება, 1992 წლის 23 მარტის № 173 გ. განკარგულებით რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა დააკმაყოფილა სპორტისა და ტურიზმის სამინისტროს თხოვნა და, როგორც გამონაკლისი, ნიჩბოსნობისა და აფროსნობის ფედერაციას, სხვა საწყლოსნო ბაზებთან ერთად, გადასცა ცენტრალური სანიჩბოსნო ბაზა ბალანსიდან ბალანსზე. ამ განკარგულების შესასრულებლად გამოიცა ხსენებული სამინისტროსა და ქალაქის სპორტკომიტეტის ბრძანებები, აგრეთვე ქალაქის მერიის შესაბამისი განკარგულება. საბოლოოდ, გაიცა ორდერი — სანიჩბოსნო ბაზა გადაეცა ნიჩბოსნობისა და აფროსნობის ფედერაციას მუდმივ სარგებლობაში. პასუხად თბილისის სპორტნაგებობათა სამმართველომ (1992 წლის 10 აპრილს, ბრძანება № 22-ა), „მტკვარი“ ბალანსიდან ბალანსზე გადასცა კოლექტივს და საფუძვლად გამოიყენა კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ 8 აპრილს მიღებული განკარგულება. ამდენად, სამმართველომ არ შეასრულა მთავრობის განკარგულების შესასრულებლად თბილისის სპორტკომიტეტის 1992 წლის 1 აპრილის ბრძანება — „მტკვარი“ ბალანსიდან ბალანსზე 4 დღის ვადაში გადასცემოდა ფედერაციას.

„მტკვრის“ ხელმძღვანელობამ სახელმწიფო საბჭოში გაასაჩივრა ფედერაციისთვის ბაზის გადაცემის სამთავრობო გადაწყვეტილება. მინისტრთა კაბინეტის სახელმწიფო მრჩეველმა დაასკვნა, რომ „მტკვრის“ ადმინისტრაციის მოთხოვნები მოკლებულია ყოველგვარ იურიდიულ დასაბუთებას“.

საკითხის შემსწავლელი კომისია ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ „მტკვრის“ ხელმძღვანელობამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს კოლექტივის იჯარაზე გადასვლას ან სახელმწიფო ქონების სხვა კანონიერი ფორმით განკარგვას. „მტკვრის“ ხელმძღვანელობის ყველა დოკუმენტი ეყრდნობა რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის განკარგულებას დემონოპოლიზაციის შესახებ. ჯერ კიდევ 1991 წლის 14 ივნისს ქალაქის პრეფექტმა გამოსცა ბრძანება, რომელიც არეგულირებს სახელმწიფო ქონების განკარგვის ფორმებს, კერძოდ: 1. გადაეცა ადგილობრივ საკუთრებაში; 2. გადაეცა სრულ სამეურნეო განკარგვაში; 3. გადაეცა ოპერატიულ მართვაში; 4. გადაეცა იჯარით გამოსყიდვის უფლებით; 5. გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად; 6. გაიყიდა. ვერცერთი ამ მოთხოვნის დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტი ვერ წარედგინა კომისიას.

კომისიამ დაადგინა: „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება უნდა შესრულდეს“.

იგივე გადაწყვეტილება მიიღო ამ დღეებში სახელმწიფო არბიტრაჟმა.

რედაქციისგან: როგორც ვნახეთ, სპორტული ბაზის დაპატრონების პრეტენზია გაუჩნდა თვით კოლექტივს და ფედერაციას. დავა ყველა ინსტანციაში ფედერაციის სასარგებლოდ გადაწყდა. რატომ არ დაუკანონეს კოლექტივს ბაზა? სპეციალისტები, მათ შორის იურისტები, ამტკიცებენ, რომ ეს იქნებოდა უკანონობა, რადგან სპორტული ბაზები არ ექვემდებარება პრივატიზაციას, იჯარაზე გასვლა კი თავის დროზე, როგორც ჩანს, მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული. შრომითმა კოლექტივმა, უნდა ითქვას, სამეურნეო ანგარიშზე გადასვლით მუშაობა გამოაცოცხლა, გაიჩინა ხოლიდური სპონსორი, ზოგჯერ ბაზა მოზარდ ნიჩბოსნებსაც ეხმარებოდა. მაგრამ ფაქტია, ამ ხანგრძლივ დავაში დაზარალდა სპორტი — ნიჩბოსნობა. ვინ აგებს ამაზე პასუხს? ალბათ ყველა, ვინც დავა და ორი მხარის ურთიერთპრეტენზიები ბოლომდე ვერ მოაწესრიგა.

ერთს კიდევ ვიტყვით: ბაზაზე მომუშავე თანამშრომელთა სოციალური ინტერესები ყურადღების გარეშე არ უნდა დარჩეს.

ოცდამეთერთმეტე, ტრადიციული...

(დასასრული)

ლომიძე (ყველა — საქართველო), აბელსენტ აიხანოვი (ყაზახეთი) და ალექსანდრე ივანიცკი (მოსკოვი).

თბილისის ტურნირი, „დასაბამითგანვე“ რეგულარულად ტარდებოდა და მხოლოდ ერთხელ, 1992 წელს, ცნობილი მიზეზების გამო, ამოვარდა კალენდრიდან. ამდენად, წლევანდელი ასპარეზობის რიგითი ნომერი ოცდათერთმეტი გახლავთ.

ქვემოთ გთავაზობთ ტურნირში გამარჯვებული ყველა მოჭიდავის სიას წონითი კატეგორიების მიხედვით. ამ სიით დავადგინოთ, ვინ რამდენჯერ გაიმარჯვა ასპარეზობაში:

48 კგ. რ. დმიტრიევი (სსრ კავშირი) — 4-ჯერ, ს. კორნილაევი (სსრ კავშირი) — 3, რ. გაჯიევი (სსრ კავშირი), ლი ზე სიკი (კსდრ) — 2-2,, ა. ბელოგლაზოვი, ა. სანოიანი, ს. კარამჩაკოვი, ა. დორჟუ, გ. მეჯლუმიანი (ყველა — სსრ კავშირი), ო. ველიკოვი, ხ. ისაევი (ორივე — ბულგარეთი), ს. სიგორუხი (იაპონია), მ. ბაზმოვარი (ირანი), ლი ხოფსონი (კსდრ), ბ. ჩიოდოგჟამუ (მონღოლეთი), კიმ იანგ ჩინგი (სამხრეთ კორეა) — 1-1.

52: ს. ბელოგლაზოვი (სსრ კავშირი) — 5, ა. ივანოვი (სსრ კავშირი) — 4. ვ. ალექსეევი, ვ. თოგუზოვი (ორივე — სსრ კავშირი) — 3-3, ტ. ფაშაევი, ი. შუგაევი (ორივე — სსრ კავშირი), ზ. ტატუაშვილი (საქართველო), ა. ხეიდარი (ირანი) — 2-2, ზ. შეყრილაძე, ტ. ალიბეგაშვილი, თ. მიქელაძე (სამივე — საქართველო), რ. მამედოვი, მ. დაიბოვი, ბ. უმახანოვი, ს. ეგშატიანი (ყველა — სსრ კავშირი), ა. ხოდაბანდი, ხ. პურასტოლი, გ. ნამატოლი, მ. გორბანი (ყველა — ირანი), დ. მილზი, დ. გონსალესი (ორივე — აშშ), ვ. იორდანოვი (ბულგარეთი) — 1-1.

57: რ. კარაევი (სსრ კავშირი) — 5, ბ. იბრაჰიმოვი (სსრ კავშირი) — 3, გ. გოგიჩაიშვილი (საქართველო), ა. იბრაჰიმოვი, პ. მალიანი, ვ. ოუმიბი (სამივე — სსრ კავშირი) — 2-2, ი. ლეგაშვილი, რ. დობორჯგინიძე, დ. ბელთაძე (სამივე — საქართველო), ნ. მუშელიანი, ა. ალიევი, გ. ბალდასაროვი, ბ. უმახანოვი (ყველა — სსრ კავშირი), დ. აბდულბაგერი (ირანი), დ. ბემი (აშშ), კიმ იონ სიკი (კსდრ), 1-1,

62: ნ. ხოხაშვილი (საქართველო) — 4, ს. ქარსაულიძე, გ. ყვარელაშვილი, გ. მაკოევი (სამივე — საქართველო), ზ. აბდულბეკოვი, ბ. ბაზაევი, ს. ხატაგოვი, ხ. ისაევი (ყველა — სსრ კავშირი) — 2-2, ვ. რუბაშვილი (საქართველო), ე. თედეევი, რ. პლიევი, ვ. გაჯიევი, ს. აფსაიდოვი, ა. ფარკუშინი, ს. სარქისოვი, გ. რაშიდოვი (ყველა — სსრ კავშირი), ე. დინევი, ი. ტოდოროვი (ორივე — ბულგარეთი) — 1-1.



68: ზ. ბერიაშვილი (საქართველო) — 5, გ. მაკასარაშვილი (საქართველო) — 4, ა. მაჰომედოვი (სსრ კავშირი) — 3, ი. გაიდარბეკოვი, ნ. პეტრენკო (ორივე — სსრ კავშირი) — 2-2, დ. გიგაური, გ. მაკოევი (ორივე — საქართველო), ვ. კაზაკოვი, გ. იბრაჰიმოვი, პ. პონიგინი, მ. ხარაჩურა, ა. ფაძაევი, ვ. ვერხუშინი, მ. აბუშევი, ა. მუტალიბოვი (ყველა — სსრ კავშირი), ა. მოვახედი, კ. გოლიამი (ორივე — ირანი), გ. გეიბლი. ე. რაი (ორივე — აშშ), დ. მარინოვი (ბულგარეთი), დ. სრეტერი (მონღოლეთი), — 1-1

74. გ. სალარაძე (საქართველო) — 3, ტ. როსტომაშვილი (საქართველო), ი. შახმურადოვი, მ. აბდულმუსლიმოვი, ტ. მაჰომედოვი (სამივე — სსრ კავშირი), დ. შულცი (აშშ) — 2-2, თ. ასლამაზიშვილი, რ. მარსაგიშვილი (ორივე — საქართველო), ნ. ჟურული, რ. აშურალიევი, ე. არაცილოვი, ვ. ძუგუტოვი, ა. ვარაევი, გ. ხაზამოვი, ნ. გაჯიხანოვი (ყველა — სსრ კავშირი), უ. შალასი, კ. მონდეი (ორივე — აშშ) — 1-1.

82: ლ. თედიაშვილი (საქართველო) — 5, ვ. მოდოსიანი, ი. ვორობიოვი (ორივე — სსრ კავშირი), — 3, ა. ილურიძე (საქართველო), ხ. ზანგიევი, ო. ალექსეევი (ორივე — სსრ კავშირი) — 2-2, ლ. გადაიჩუკი, ვ. პოტაპენკო, ვ. ნოვოჟილოვი, ო. კალოევი, ლ. ჟაბრაილოვი, ა. ტამბოვცევი (ყველა — სსრ კავშირი), ნ. დუგლასი (აშშ), ა. გოგოლიშვილი (საქართველო) — 1-1.

90: ა. ცხოვრებოვი (საქართველო) — 5, შ. ლომიძე (საქართველო), ს. ოჰანესიანი (სსრ კავშირი) — 4-4, შ. პაპაშვილი (საქართველო), ა. პროკოპჩუკი, მ. ხადარცევი (ორივე — სსრ კავშირი) — 2-2, ლ. მარშანია (საქართველო), გ. სტრახოვი, ვ. ბატნია, ვ. ევლოევი, პ. ნანიევი, რ. ტიბილოვი, შ. აბდულრახმანოვი, ვ. კაზიბუგოვი (ყველა — სსრ კავშირი), ბ. პეტერსონი, რ. ჰელიქსონი, კ. კემპბელი (სამივე — აშშ), — 1-1.

100: ლ. ხაბელოვი (საქართველო) — 6, კ. ლიივა, ს. ხასიმიკოვი, მ. მაჰომედოვი (სამივე — სსრ კავშირი) — 3-3, ა. აიხანოვი, ვ. გულიუტკინი, ი.იარიგინი, ი. მატე (ყველა — სსრ კავშირი) — 2-2, ზ. ნიკურაძე, გ. ყურაშვილი (ორივე — საქართველო), ვ. კაკოშკინი (სსრ კავშირი), ა. აიკი (თურქეთი) — 1-1.

130: ბ. ბიგაევი (სსრ კავშირი) — 6, ნ. მოდებაძე (საქართველო) — 5, დ. გობეჯიშვილი (საქართველო) — 3, ა. ივანიცკი, ა. მედვედი, ს. ანდიევი (სამივე — სსრ კავშირი), ზ. თურმანიძე (საქართველო) — 2-2, ე. გოცირიძე (საქართველო), ვ. საუნინი, ვ. პარშუკოვი, ვ. ზანგიევი, ა. ხადარცევი (ყველა — სსრ კავშირი), ვ. კოსტოვი (ბულგარეთი), ბ. ბაუმპარტნერი (აშშ) — 1-1.

თბილისის ყველა „ოქრო“

თბილისის საერთაშორისო ტურნირებში ოქროს მედლები მოიპოვეს ცხრა ქვეყნის უძლიერესმა ათლეტებმა. მათგან ყველაზე დიდ წარმატებას ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრების მოჭიდავეებმა მიაღწიეს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ისინი ამ ტურნირებში მოჭიდავეთა ყველაზე დიდი ჯგუფით, ფაქტობრივად, რამდენიმე ნაკრებით გამოდიოდნენ.

სწორედ იმიტომაცაა, რომ სსრკ ნაკრების წილად მოდის 167 უმაღლესი ჯილდო — ოქროს მედალი. მეორე ადგილზე ამ თავისებურ კონკურსში, ბუნებრივია, საქართველოს მოჭიდავეები არიან — 77 პირველი ადგილი. თბილისის საერთაშორისო ტურნირების ყველა „ოქრო“ ქვეყნებს შორის ასეა განაწილებული:

სსრ კავშირი — 167
საქართველო — 77
აშშ — 14
ირანი — 10
ბულგარეთი — 7
კსდრ — 3
მონღოლეთი — 2
იაპონია — 1
თურქეთი — 1

ბოლო პრიზიორები

შარშან, წლის დამდეგს, გასაგები მიზეზების გამო, თბილისის საერთაშორისო ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში არ ჩატარებულა. ამიტომ ბოლო შეჯიბრების პრიზიორებს წარმოგიდგენთ 1991 წლის შედეგების მიხედვით.

მაგრამ ჯერ რამდენიმე ზოგადი ხასიათის ინფორმაცია. მედლები ამ ტურნირში ხუთი ქვეყნის წარმომადგენლებმა გაინაწილეს: სსრ კავშირმა, საქართველომ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ირანმა და სამხრეთ კორეამ. საბჭოთა ნაკრების მოჭიდავეებს თერთმეტი მედალი ერგოთ, საქართველოს გუნდის წევრებს — ათი, ოქროს მედლების რაოდენობაში ასეთი შეფარდება იყო — ხუთი ოთხზე.

სსრ კავშირი	5	2	4
საქართველო	4	4	2
აშშ	2	1	2
ირანი	—	2	1
ს. კორეა	—	—	1

პრიზიორთა სია:

48 კგ. 1. ნ. აბდულაევი (სსრკ), 2. ნ. ზაინალია (ირანი), 3. კიმ იანგ ჩინგი (ს. კორეა).

52: 1. ს. ეგშატიანი (სსრკ), 2. ზ. ჯონსი (აშშ), 3. მ. კუშნირი (სსრკ).

57: 1. ბ. უმახანოვი (სსრკ); 2. გ. სისაური (საქართველო), 3. მ. ზოლპაური (ირანი).

62: 1. გ. რაშიდოვი, 2. ნ. ანტუევი, 3. რ. კარაევი (სამივე — სსრკ).

68: 1. გ. მაკოევი, 2. გ. ხინჩიკაშვილი (ორივე — საქართველო), 3. ჯ. გიურა (აშშ).

74: 1, დ. შულცი (აშშ) და ს. კატინავასოვი, 3. ი. გაჯიევი (ორივე — სსრკ).

82: 1. ა. გოგოლიშვილი, 2. ჯ. მოდოსიანი (ორივე — საქართველო), 3. რ. ალჯერი (აშშ).

90: 1. კ. კემპბელი (აშშ), 2. ვ. კაზიბეკოვი, 3. რ. არუთინიანი (ორივე — სსრკ).

100: 1. ლ. ხაბელოვი (საქართველო), 2. ტ. მუხამედრეზა (ირანი), 3. ზ. ტყეშელაშვილი (საქართველო).

130: 1. ზ. თურმანიძე, 2. მ. ვალიევი, 3. ლ. ებანოიძე (სამივე — საქართველო).

შენიშვნა: 74 კგ-ში მოხდა ერთი კურიოზი: ორ მოჭიდავეს — დეივ შულცსა (აშშ) და საიდიგ კატინავასოვს (სსრკ) ფინალური ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ აბსოლუტურად ერთნაირი მაჩვენებლები აღმოაჩნდათ და მსაჯთა კოლეგიამ გამონაკლისის სახით ორივე მოჭიდავეს მიანიჭა ოქროს მედალი. ამიტომ ზემოთ შემოთავაზებულ ცხრილში უმაღლესი ჯილდოს რაოდენობა თერთმეტია, ვერცხლის მედლისა კი 9.

შორტი-ტიმანი

მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტების მატჩის მეთერთმეტე პარტიაში ხოლანდიელმა დიდოსტატმა იან ტიმანმა, რომელიც ამ მომენტისთვის მეტოქეს ანგარიშში (4:6) საგრძნობლად ჩამორჩებოდა, უშეღავათო ბრძოლა შესთავაზა ინგლისელ დიდოსტატს ნაიჯელ შორტს, მაგრამ იმ დღეს პარტია დაუსრულებელი დარჩა მეორე დღეს ტიმანმა მოახერხა დაუფლებოდა ინიციატივას და ანგარიშში სხვაობა შეამცირა, მაგრამ გუშინწინ, მეთორმეტე, 320-წუთიან პარტიაში 46-ე სვლაზე შორტმა, ვფიქრობთ, გადამწყვეტი დარტყმა მიაყენა ტიმანს — დაამარცხა იგი და ისევ 2 ქულით დაწინაურდა. დარჩენილ ორ პარტიაში ინგლისელს ნახევარი ქულალა სჭირდება, რათა გახდეს გარი კასპაროვის მეტოქე გვირგვინისთვის ბრძოლაში.

გუშინ უნდა გარკვეულიყო...

ფიდეს ოსტატმა, 15 წლის მაია ლომინეიშვილმა 3 ტურში 2,5 ქულა „აართვა“ მეტოქეებს — მოუგო იამზე თვაურს, საერთაშორისო ოსტატს ალა ჩაიკოვსკაიას, დაუზავდა ეკა კემულარიას, გაუხდა 7 ქულა და ბოლო ტურის წინ ლიდერობდა, თუმცა მისი უპირატესობა უახლოეს მდევარ მაია გრიგალაშვილთან ნახევარი ქულით გამოიხატებოდა. თავის მხრივ, გრიგალაშვილმა ამ სამ საასპარეზო დღეს საერთაშორისო ოსტატ თამარ ხუგაშვილთან გამარჯვების მერე ქულა დაკარგა სოფიკო ტერელაძესთან შეხვედრაში და ეს ზარალი ნაწილობრივ აინაზღაურა, როცა მარინა ლებანიძეს აჯობა.

თბილისის მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონის წოდების მოპოვების შანსს ინარჩუნებდა ტერელაძეც, რომელმაც გრიგალაშვილთან წარმატებას მირანდა ხორავასთან მოგებაც მიუმატა (მეექვსე ტურში იგი ჩაიკოვსკაიას დაუზავდა). ტერელაძეს გადამწყვეტი შეხვედრების წინ 6 ქულა ჰქონდა, ასე რომ, ამ დაწინაურებული სამეულის წამოწევის შესაძლებლობა აღარავის რჩებოდა და პირველი პრიზის საკითხიც ლომინეიშვილის, გრიგალაშვილისა და ტერელაძის ბოლო პარტიების შედეგებზე იყო დამოკიდებული.

დედაქალაქის სპორტსმენებისთვის ეს ტურნირი გენერალური რეპეტიციაც იყო საქართველოს ჩემპიონატის წინ (იგი 4 თებერვალს ჭადრაკის სასახლეშივე დაიწყება), რომელიც ამავე დროს მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა საზონათშორისო ტურნირისთვის შესარჩევი შეჯიბრებაც იქნება.

კატოვიცეში აფასებენ ქართული ფეხბურთის სტილს

(დასასრული)

● თქვენამდე იქ გია გურული და გია ჯიშკარიანი თამაშობდნენ. როგორ შეხვდნენ ზაზა რევიშვილს ახალი თანაგუნდელები და ფეხბურთის ადგილობრივი გულშემატკივრები?

— პოლონეთში მართლაც პოპულარული იყო გია გურული. კლუბმა და გულშემატკივრებმა გულთბილი შეხვედრა მომიწყეს, რაც, ცხადია, გარკვეულწილად გურულის დამსახურებაც იყო.

● კონტრაქტით თუ ხართ კმაყოფილი?

— კლუბმა ჩასვლისთანავე ოთხოთახიანი ბინა და ავტომანქანა (ბენზინის ფულს თავად იხდიან) გამოიყო. კონტრაქტით თვეში 350, ხოლო მოგებული მატჩისთვის დამატებით 400 დოლარს მიხდიან. ერთი სიტყვით, მეც კმაყოფილი ვარ და, ვფიქრობ, კლუბის ხელმძღვანელებიც.

● როგორ ჩაიარა აკლიმატიზაციის პროცესმა?

— თავიდან, როგორც მოველოდი, გამიჭირდა, მაგრამ დრომ თავისი მოიტანა.

● პოლონეთში ოჯახიც გახლავთ?

— ჩემი მეუღლე ნინო და ოთხი წლის ირაკლი რომ არა, უცხოეთში ნამდვილად ვერ გავძლებდი.

● როგორ გგონიათ, „გაუშინაურდით“ პოლონურ ფეხბურთს?

— პოლონეთში, ყოველი წლის ბოლოს, სპეციალისტები ადგენენ ქვეყნის ფეხბურთელთა ნაკრებს, რომელშიც, ტრადიციისამებრ, უცხოელებსაც ასახელებენ. შარშანდელი შედეგების მიხედვით ნაკრებში მეც მოვხვდი.

● „დინამოში“ მარჯვენა ნახევარმცველად თამაშობდით, ახალ კლუბში ხომ არ შეიცვალეთ ამპლუა?

— ერთ-ერთ მატჩში ჩვენი მცველი დაშავდა და მის გამოჯანმრთელებამდე 5-6 მატჩი ვითამაშე ამ ადგილზე. საერთოდ კი, ჩემპიონატში თექვსმეტივე მატჩში გამოვედი და ოთხი ბურთი გავიტანე.

● აგვისტოში თქვენი კონტრაქტის ვადა იწურება, კიდევ ხომ არ აპირებთ უცხოეთში დარჩენას?

— მიწვევა მივიღე ავსტრიის პირველი ლიგის რამდენიმე კლუბიდან, მაგრამ სეზონის ბოლომდე გკს-ში დავრჩები. თუ უეფამ დაუშვა საქართველოს გუნდები ევროპის საკლუბო თასებზე, „დინამოში“ დავბრუნდები. უეფას უარის შემთხვევაში საფრანგეთის ან იტალიის ერთ-ერთ კლუბში გადავალ.

● უეფას თასზე თურქეთის „გალათასარაისთან“ ორრაუნდიან მატჩში გქონდათ თავის გამოჩენის კარგი შესაძლებლობა, რათა თქვენთვის ყურადღება მიეპყროთ საფრანგეთის ან იტალიის ფეხბურთის სპეციალისტებს. ეს შესაძლებლობა მაშინ ხელიდან გაგისხლტათ.

— „გალათასარაისთან“ განმეორებით მატჩში ჩვენი კლუბის წარუმატებლობაში დიდი როლი მსაჯმა ითამაშა — მან მატჩის დებიუტშივე „დაგვსაჯა“ — ერთდროულად სამი მოთამაშე გაგვიძევა მოედნიდან. ყოველივე ამან, ცხადია,, ჩემს „ექსპორტზეც“ იმოქმედა.

● წარუმატებლობას როგორ ხვდება თქვენი გუნდი?

— მწვრთნელიდან დაწყებული — სათადარიგო ფეხბურთელით დამთავრებული ერთმანეთთან შეხვედრას გავურბივართ.

● წარმატების შემთხვევაში?

— სიხარულს საზღვარი არა აქვს.

● მატჩებისაგან თავისუფალ დროს როგორ იყენებთ?

— მიუხედავად იმისა, რომ თანაგუნდელებთან თბილი, მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს, უქმე დღეებს ოჯახში ვატარებ.

● უცხოეთში მოთამაშე რომელ ქართველ ფეხბურთელთან გაქვთ კავშირი?

— გია გურულთან. იგი თითქმის ყოველი მატჩის შემდეგ მირეკავს საფრანგეთიდან, არც „ფინელ“ გოჩა ტყებუჩავას ვავიწყდები.

● კატოვიცელ გულშემატკივრებზე რას იტყვით?

— კატოვიცეში ძალიან უყვართ სპორტი. № 1 სახეობა აქაც ფეხბურთია. ამიტომაც კლუბს ყოველ კალენდარულ მატჩზე სტუმრად გულშემატკივართა 3-4 ათასიანი „არმია“ დაჰყვება. ისინი შესაშური აქტიურობით გვქომაგობენ.

● ამ ჩემპიონატში რას უმიზნებს თქვენი კლუბი?

— ცხადია, ჩემპიონობას! თუმცა ჯერ მთელი 16 ტურია წინ და, შესაძლებელია, სატურნირო „ამინდი“ ბევრჯერ შეიცვალოს. მეორე წრეს ჩვენი გუნდი თასის მატჩით იწყებს. სპეციალისტების აზრით, მეოთხედფინალური შეხვედრა ახლანდელ ჩემპიონთან ლკს-ს გუნდთან ცენტრალური მატჩი იქნება. როგორც ვარაუდობენ, გამარჯვებული პოლონეთის თასის მომავალი მფლობელია.

ესაუბრა რამინ ჟურაშვილი.

ირონიიდან რეალობამდე

უკვე ბანალური ჭეშმარიტება: ქალთა ემანსიპაცია სპორტში მომხდარი ფაქტია — ქალები ცდილობენ ტოლი არ დაუდონ მამაკაცებს არა მარტო ჩვეულებრივ, არამედ წმინდა „მამაკაცურ“ სახეობებშიც: ეჭიდებიან შტანგას, თამაშობენ ჰოკეის, წყალბურთს, ეძიძგილავებიან ერთმანეთს ძიუდოს ტატამზე და, ჰოი, მკრეხელობავ, ბუცებიც მოიზომეს და ფეხბურთსაც თამაშობენ. ახლახან ამერიკელმა ქალებმა მსოფლიო ჩემპიონთა წოდებაც მოიპოვეს ფეხბურთში და გამარჯვებულები თვით პრეზიდენტმა ბუშმაც კი მიიღო.

მოგეხსენებათ, ქართველი ქალები დასავლეთის მოდას უცებ იტაცებენ. ასე მოხდა ფეხბურთშიც. მიუხედავად გაჭირვებისა, საქართველოში ამჟამად ფეხბურთელ ქალთა სამი გუნდია: წვრთნა, თამაშები და... ოცნება — ოდესღაც, ამერიკელთა მსგავსად... მსოფლიო ჩემპიონობა...

ქალთა გუნდ „მეტეხის“ ვარჯიშში. რამდენიმე კითხვა მწვრთნელს თემურ თვალჭრელიძეს.

● ქალთა ფეხბურთს საქართველოში ცოტა არ იყოს ირონიითაც უყურებენ, თქვენ რამ გადაგაწყვეტინათ ხელი მოგეკიდათ ამ საქმისათვის?

— ბავშვთა ფეხბურთში დაახლოებით 24 წელი ვიმუშავე და, რას წარმოვიდგენდი, ქალებსაც თუ ვავარჯიშებდი. ამ რამდენიმე წლის წინათ ვერის პარკში ჩამოყალიბდა ქალთა გუნდი, რომელსაც ავტორ ტალახაძე ავარჯიშებდა. მე თავიდანვე ირონიულად ვიყავი განწყობილი, ვფიქრობდი, მათი ენთუზიაზმი დიდხანს ვერ გასტანდა, მაგრამ შევცდი. 1987 წელს ავტორ ტალახაძემ შემომთავაზა გადავსულიყავი ქალთა გუნდში და იმ დროისათვის საკმაოდ სოლიდური ხელფასი — 300 მანეთი შემომთავაზა. შემდეგ ქალთა გუნდში ჩემი მეგობარი ოთარ ნათაძეც გადავიდა. მაშინ გუნდს „ივერია“ ერქვა. ორიოდე წლის წინ თურქეთში იმოგზაურეს, მერე კი ჰოლანდიის ტურნე ელოდათ. ჰოლანდიის ხათრით, დავთანხმდი და სამი თვე ვავარჯიშე. იქ ჩვენმა გოგონებმა 64 გუნდს შორის მეორე ადგილი დაიკავეს. მას შემდეგ შევრჩი და ვეღარ მოვშორდი.

● ახლა რა ვითარებაა ქალთა ფეხბურთში?

— ამ საყოველთაო გაჭირვების ჟამს, ცხადია, გვიჭირს ჩვენც. მერამდენე თვეა, უხელფასოდ ვმუშაობ, ასევე არიან, გოგოებიც, მაგრამ ვარჯიშებს მაინც არ აცდენენ. საქართველოში სამად-სამი გუნდიღა დარჩა. არადა, ეს გუნდები რომ დაიშალოს, ქალთა ფეხბურთი საქართველოში ჩაკვდება. მსოფლიოში ფეხბურთელ ქალთა უამრავი ტურნირი ტარდება, იმართება ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატები, საწყენი იქნება, ჩვენმა ქალებმა მონაწილეობა ვერ მიიღონ მათში. გუნდის შექმნაა ძნელი, თორემ დაშლაზე ადვილი რა არის?

● რაში ხედავთ გამოსავალს?

— შემძლე პატრონს ვეძებთ, იმედი გვაქვს, საქართველოში ვითარება რომ დაწყნარდება, ჩვენსკენ გამომხედავიც გამოჩნდება. შეიძლება ჩემპიონები ვერ გავზარდოთ, მაგრამ ერისთვის ჯანმრთელი, სპორტის ყადრის მცოდნე ქალის ფასი რა არის? ერთი სიტყვით, ყველანაირად ვეცდებით, შევინარჩუნოთ გუნდი. პირადად მე, ახლა უფრო ვარ დაინტერესებული, რადგან ნათლად გამოჩნდა ჩვენი სამი წლის მუშაობის შედეგები, გოგოები, რომლებიც ძალზე მოისუსტებდნენ ტექნიკურად, ახლა ისეთ ილეთებს აკეთებენ, გაგიკვირდებათ. მათ ბურთის ენა უკვე ისწავლეს და ამ გუნდის დაშლა დანაშაულის ტოლფასია.

● წარმატებებს და ჯენტლმენი ქომაგების გამოჩენას გისურვებთ.

— გმადლობთ, ღმერთმა ქნას, მრავალჯერ გახდეთ ჩვენი გამარჯვების მომსწრე.

ნონა ვაჩეიშვილი,
ასოციაცია „ფალავანის“ დამოუკიდებელი უნივერსიტეტის სპორტული ჟურნალისტიკის I კურსის სტუდენტი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბავი ● უცხოეთის ფეხბურთის ამბავი

ჩემპიონატები, თასები, მატჩები...

ევროპის ქვეყნებში გრძელდება საფეხბურთო ტურნირები, მიმდინარეობს ჩემპიონატები, თასების გათამაშებები, საფეხბურთო ცხოვრება არ წყდება.

● **იტალია.** განვლილია ქვეყნის ჩემპიონატის ნახევარი, მაგრამ, როგორც აქაურ სპეციალისტებს მიაჩნიათ, ჩემპიონის საკითხი არსებითად უკვე გარკვეულია: „მილანი“ 8 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ „ინტერს“ და ამ დიდი განსხვავების ლიკვიდირება ერთობ ძნელი საქმე იქნება. მე-17 ტურში ლიდერმა შინ ანგარიშით 1:0 დაამარცხა „ჯენოა“ (ბურთი გაიტანა სავიჩევიჩმა), „ინტერმა“ კი ამავე ტურში სტუმრად მოუგო „ტორინოს“ — 2:1. გამარჯვებულთაგან მეორე ტაიმში ბურთები გაიტანეს სოსამ და ფონტოლანმა, სხვაობა ანგარიშში შეამცირა შიფომ. „ატალანტასა“ და „ანკონას“ დაძაბული ბრძოლა დამთავრდა „ატალანტას“ გამარჯვებით — 2:1.

ლიდერთა მდგომარეობა ამჟამად ასეთია: „მილანი“ — 31 ქულა, „ინტერი“ — 23, „ატალანტა“ — 20.

საუკეთესო ბომბარდირთა შორის 17 გატანილი ბურთით წინაა ჯუზეპე სინიორი („ლაციო“).

● **ესპანეთი.** ესპანეთის პირველობაზე 19 ტურის შემდეგ ლაკორუნიას „დეპორტივო“ და „ბარსელონა“ კვლავინდებურად სათავეში იმყოფებიან. განვლილ ტურში „დეპორტივომ“ მძიმე ბრძოლაში მხოლოდ ქულა აიღო „რაიო ვალეკანოსთან“ შეხვედრაში — 1:1, ხოლო „ბარსელონამ“ ასევე ვერ შეძლო „რეალ-სოსიედადის“ მედგარი წინააღმდეგობის დაძლევა (ეს გუნდი ამჟამად მე-17 ადგილზეა) და ასევე ფრეს დასჯერდა — 2:2. ლიდერთაგან გამარჯვებას მხოლოდ მადრიდის „რეალმა“ მიაღწია, რომელმაც შინ დიდი ანგარიშით მოუგო „ტენერიფეს“ — 3:0, ამასთან სამივე ბურთი სამორანომ გაიტანა.

„დეპორტივოს“ 19 თამაშის შემდეგ 30 ქულა აქვს, „ბარსელონას“ — 18 ტურის შემდეგ 28. ბომბარდირთა შორის დაწინაურდა „დეპორტივოს“ თავდამსხმელი ბებეტო — 19 გატანილი ბურთი.

● **ჰოლანდია.** აქაურ ჩემპიონატში ლიდერობისთვის იბრძვიან როტერდამის „ფეიენოორდი“ და ეინდჰოვენის პსვ. ორივე გუნდს ამჟამად 26-26 ქულა აქვს, თუმცა „ეინდჰოვენის“ ფეხბურთელებმა 16 მატჩი ითამაშეს, ხოლო „ფეიენოორდმა“ — 18.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთაგან ყველაზე კარგი შედეგი აქვს დენის ბერგკამპს, რომელიც ტრავმის შემდეგ კვლავ გამოჩნდა ამსტერდამის ცნობილი „აიაქსის“ შემადგენლობაში. მან ჯერჯერობით 13 ბურთი გაიტანა.

● **რომი.** გაიმართა იტალიის თასის გათამაშების მეოთხედფინალური ეტაპის პირველი რაუნდის 3 მატჩი. მათი შედეგები ასეთია: „მილანი“ — „ინტერი“ 0:0, „ნაპოლი“ — „რომა“ 0:0, „იუვენტუსი“ — „პარმა“ 2:1.

● **ლისაბონი.** პორტუგალიის თასის მერვედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ „ფავორიტები“: „ბენფიკა“ და „პორტო“. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა „ბენფიკამ“. ბურთები გაიტანეს ისაიამ და იურანმა (11-მეტრიანი).

საერთაშორისო შეხვედრები

ევროპულ ტურნეს პირველი შეხვედრა მექსიკელებმა იტალიის ნაკრებთან გამართეს. მატჩი დამთავრდა იტალიელთა გამარჯვებით — 2:0.

შემდეგ მექსიკელები შეხვდნენ ესპანელებს. ფრე — 1:1. ანგარიში 44-ე წუთზე გახსნა მექსიკელმა კლაუდიო სუარესმა, საპასუხო ბურთი 72-ე წუთზე 11-მეტრიანით გაიტანა ტონი მუნიოსმა.

ამ მატჩში ესპანელებმა საცდელი შემადგენლობა გამოიყვანეს, კერძოდ, ნაკრებში ათამაშეს ბარსელონაში ოლიმპიადის 5 ჩემპიონი.

გერმანიის ქალაქ ცელეში ადგილობრივმა „ტუსმა“ მიიღო დსთ-ს ნაკრები. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 5:1, ბურთები გაიტანეს ბოროდიუკმა (2), ლედიახოვმა, კორნეევმა და მატვეევმა.

ბურთი 11-მეტრიანით გაიტანა რემელმა.

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ნაკრებს განზრახული ჰქონდა იმ შემადგენლობით ჩასულიყო გერმანიაში, რომლითაც ევროპის ჩემპიონატზე გამოდიოდა შვეციაში, მაგრამ ეს არ მოხერხდა და მატჩში მონაწილეობდნენ მხოლოდ რუსეთის ნაკრების მოთამაშეები.

რატომ გამელოტდა ედუარდ სტრელცოვი?

იგი დასაჯეს, მოსამართლენი კი ჩასვეს

1958 წლის გაზაფხულზე მოსკოვში გავრცელდა ხმა: ცნობილმა ფეხბურთელმა ედუარდ სტრელცოვმა დანაშაული ჩაიდინა და სასამართლოს წინაშე წარდგება. ხმას ახალ-ახალი, ერთი-მეორეზე სენსაციური დეტალები ემატებოდა: სტრელცოვის სახელს სსრკ ნაკრების მოთამაშეების ბორის ტატუშინისა და მიხაილ ოგონკოვის სახელებიც დაემატა. ლაპარაკი დაიწყეს იმაზე, რომ საქმეში გარეული არიან ეროვნული გუნდის წამყვანი ფეხბურთელებიც, რომლებიც მალე შვეციის მსოფლიო ჩემპიონატზე უნდა გამგზავრებულიყვნენ. ჩვენი და უცხოელი სპეციალისტების აზრით, ქვეყნის ნაკრები იმხანად არნახულად ძლიერი იყო.

— თქვენ პირველი ხართ პრესის წარმომადგენელთაგან, ვინც წაიკითხავს ამ საქმეს. — მითხრეს არქივში. — საერთოდ კი, სისხლის სამართლის საქმეებს ჩვენ ხელზე არ ვიძლევით.

მთავარი მაინც ის არ არის, პირველი ვარ მე თუ არა. მთავარია ის სქელტანიანი საქმე, რომელიც არქივში 33 წელიწადი იდო. მასში პედანტური აკურატულობით აკინძულია დოკუმენტები, რომელთა უმრავლესობა ხელითაა დაწერილი. ვკითხულობდი გამომზეურებულ ფურცლებს და კვლავ ვრწმუნდებოდი: სტრელცოვის „საქმე“ საჭიროა განიხილონ პროკურატურის სპეციალისტებმა. გამოჩენილ (ნუ შეგვეშინდება ამ ეპითეტის) ფეხბურთელს შეემთხვა პროზაული, ცხოვრებისეული, ტრაგიკული ისტორია, რომლის დეტალების ჩამოთვლის მორალური უფლება არა მაქვს.

აი, ნაწყვეტი მოწმე მ. ოგონკოვის დაკითხვის ოქმიდან, რომელიც ქ. პუშკინის პროკურატურის უფროსმა გამომძიებელმა პუზანოვმა ჩაიწერა:

„25 მაისს დილით მე და სტრელცოვი ჩემი მანქანით გავემგზავრეთ პუშკინის მოედანზე, სადაც უნდა დაგველოდებოდა ტატუშინი — მოლაპარაკებული ვიყავით, რომ ქალაქგარეთ გავემგზავრებოდით ერთად დასასვენებლად. ტატუშინის მანქანაში ისხდნენ ჩემთვის უცნობი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ერქვა ედიკ და ორი ქალიშვილი — ინა და ირა, რომელთაც აგრეთვე არ ვიცნობდი. ედიკმა შემოგვთავაზა გავმგზავრებულიყავით მასთან აგარაკზე — „პრავდის“ სადგურზე, რომლის შორიახლო წყალსაცავი იყო. ვიყიდეთ ღვინო და მისაყოლებელი. მივედით წყალსაცავზე, დავლიეთ ღვინო და ფრენბურთი ვითამაშეთ. აგარაკისკენ გზაზე გავჩერდით პუშკინში, სადაც ტატუშინმა ერთხანს დაგვტოვა, მერე კი კიდევ ორი ქალიშვილი მოიყვანა — თამარა და მარინა, რომლებსაც ასევე არ ვიცნობდი. საღამოს აგარაკზე კვლავ ვითამაშეთ ფრენბურთი, მერე ჩოგბურთიც. მაგიდის ღამის 12 საათზე მივუსხედით...“

სასამართლო პროცესის შემდეგ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდაში“ გამოქვეყნდა ი. შატუნოვსკის სტატია „კიდევ ერთხელ „ვარსკვლავური ავადმყოფობის“ შესახებ“. განაჩენი სტრელცოვის მიმართ უკვე გამოტანილი იყო. დღეს ი. შატუნოვსკი საჯაროდ აღიარებს, რომ მასალა, რომელიც მან და მისმა კოლეგამ ნ. ფომიჩოვმა მოამზადეს, დაკვეთილი იყო რედაქციის ხელმძღვანელობის მიერ.

ამაზე შეიძლებოდა წერტილის დასმა, კიდევ ერთი, იქნებ ყველაზე მნიშვნელოვანი დეტალი რომ არა. ოქმებისა და ჩვენებების 394 გვერდს შორის არის ერთი განსაკუთრებული. მომყავს მისი ზუსტი ტექსტი, ამასთან, არ ვასახელებ იმ ქალის გვარსა და სახელს, რომელმაც დაწერა და ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს:

„გთხოვთ შეწყვიტოთ ე. ა. სტრელცოვის საქმე, ვინაიდან ვპატიებ მას (ხელმოწერა). 30. V.1958“.

ამ ჩანაწერის შემდეგ, რომელსაც რატომღაც არავითარი გავლენა არ მოუხდენია, საქმე კიდევ უფრო გართულდა. მსაჯულებმა მკაცრი სასჯელი გამოიტანეს. იქმნება შთაბეჭდილება, რომ საოლქო პროკურატურას არ შეეძლო, იქნებ არ ჰქონდა მოპოვებული სამართლიანი მოქმედების უფლება. სიტყვამ მოიტანა და ვიტყვი, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ პრაქტიკულად თითქმის მთელი ეს საგამომძიებლო ჯგუფი მექრთამეობაში ამხილეს და სასამართლოს წინაშე წარდგა.

იგორ ბარიშევი,
„სვობოდნიე ნოვოსტი“, მოსკ.

სპასკი—იუდით პოლგარი

საჭადრაკო სამყარო თითქმის ივიწყებდა მსოფლიო ექსჩემპიონ ბორის სპასკის. ეს მაშინ, როცა იგი დაახლოებით 20 წლის მანძილზე მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკე იყო, 1969-72 წლებში კი უძლიერესის წოდებას ფლობდა.

რობერტ ფიშერთან მისმა ამასწინანდელმა მატჩმა ცხადყო, რომ სპასკისთვის ჯერ ადრეა ფარ-ხმალის დაყრა. მას დღეს (დაიბადა 1937 წლის 30 იანვარს) 56 წელი შეუსრულდა და ჯერაც საკმაოდ ძლიერი დიდოსტატია. მისი და „ქალთა ფიშერად“ წოდებული იუდით პოლგარის მატჩი, რომლის თაობაზეც ამას წინათ შეთანხმდნენ, უდავოდ საინტერესო იქნება. უნდა გათამაშდეს 12 პარტია. სწორედ ასეთი „ფიქსირებული“ მატჩი მიიჩნია თავისთვის შეუფერებლად ფიშერმა, რომელსაც მაინცდამაინც 10 მოგებამდე თამაში სურდა.

საინტერესოა, რომ ეს არ გახლავთ იუდით პოლგარის პირველი მატჩი ცნობილ დიდოსტატთან. 14 წლის „უნგრელი ფენომენი“ 8 პარტიისაგან შემდგარ ორთაბრძოლაში შეხვდა ლევ პოლუგაევსკის, რომელიც, სპასკისა არ იყოს, ამჟამად პარიზში ცხოვრობს. ეს მატჩი პოლუგაევსკიმ მოიგო ანგარიშით 5:3. დღეიდან, 30 იანვრიდან კი ახალი მატჩი იწყება — სპასკი-პოლგარი.

აი, რამდენიმე ნაწყვეტი მსოფლიო ექსჩემპიონის ერთ-ერთი ინტერვიუდან.

● **თქვენი საჭადრაკო კერპი?**
— ემანუილ ლასკერი.

● **როგორი იქნება ჭადრაკის სამყარო 10 წლის შემდეგ?**
— ჭადრაკი კიდევ უფრო მეტად განვითარდება.

● **რას ფიქრობთ ფიშერზე?**
— იგი მეტად კეთილი მეგობარი და „ავი“ მეტოქეა.

● **თქვენი საუკეთესო პარტია?**
— ძნელია რომელიმე ერთის გამორჩევა. ისე კი, დიდი სიამოვნებით ვიგონებ ვიქტორ კორჩნოისთან გამარჯვებას მოსკოვში 1964 წელს. ამ პარტიამ გზა გამიხსნა საზონათშორისო ტურნირისაკენ.

● **ყველაზე უსიამოვნოდ მოსაგონარი პარტია?**
— 1958 წელს საკავშირო ჩემპიონატის ბოლო ტურში რიგაში მიხეილ ტალს ვეთამაშებოდი. ყაიმიც კი გზას მიხსნიდა საზონათშორისო ტურნირისკენ. მეტოქე დაზავებას მთხოვდა, მაგრამ რატომღაც გავჯიუტდი. რატომ? ძნელი სათქმელია! ეს პარტია წავაგე და მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტობაზე ოცნება სამი წლით გადავდე.

● **რას იტყვით მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტის შერჩევის ამჟამად მოქმედ სისტემაზე?**
— ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ მატჩების სისტემას აშკარად სჯობს 12 უძლიერესი დიდოსტატის შეჯიბრება ორ წრედ. რამდენადაც ვიცი, ამ აზრს ბევრი გამოჩენილი მოჭადრაკე იზიარებს.

● **მიგაჩნიათ თუ არა, რომ ჭადრაკში ყველაფერი იცით?**
—პირიქით, ვთვლი, რომ ჭადრაკში ძალიან ბევრი რამ არ ვიცი.

● **თქვენი დამოკიდებულება საჭადრაკო შეჯიბრებებისადმი?**
— ყოფილა შემთხვევები, როცა აშკარად გადავღლილვარ. ბევრ შეჯიბრებაში მონაწილეობა მოჭადრაკეს მძიმე მდგომარეობაში აყენებს. მქონია შემთხვევები, თავი მხოლოდ „მაღალი კვალიფიკაციის ხელოსნად“ მიგრძვნია — ჭადრაკი აშკარად მომყირჭდა.

56 წელი ჭადრაკისთვის, ცხადია, ცოტა არ გახლავთ, მაგრამ არც ძალიან ბევრია. ისე რომ, ეტყობა სპასკი კიდევ ბევრ საინტერესო შეჯიბრებაში მიიღებს მონაწილეობას და საჭადრაკო სამყაროს კვლავაც შეახსენებს თავს.

მოამზადა გიგი თორელმა.

ოცნება ხვალის „ოცნების გუნდზე“

ამერიკული პროფესიული კალათბურთის დღევანდელი „სუპერვარსკვლავები“ — მარცხნიდან: დევიდ რობინსონი. მაიკლ ჯორდანი, პატრიკ იუინგი და ჩარლზ ბარკლი.

როგორი იქნება მომავალი „ოცნების გუნდი“, თუ კალათბურთის ეროვნულმა ლიგამ (ნბა) მოისურვა 1996 წლის ოლიმპიადაში მონაწილეობა? ამერიკელ ჟურნალისტთა ინტერესს აქვს საფუძველი ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ პროფესიული კალათბურთი, ბარსელონაში ოლიმპიადის მაგალითზე, მშვენივრად „შეეთვისა“ ოლიმპიური სპორტის ინტერესებს. ოთხი წლის შემდეგ კი ეს ინტერესი ერთიორად გაძლიერდება, ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ, მორიგ თამაშებს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქი — ატლანტა უმასპინძლებს.

ერთი სიტყვით, ჟურნალისტებმა ერთმანეთში მოაწყვეს გამოკითხვა, რომელმაც საკმაოდ ორიგინალური შედეგები მოგვცა: ვერც ერთი დღევანდელი სუპერვარსკვლავი ვერ მოხვდა მომავალ „ოცნების გუნდში“. ეს კი არა, ძირითადი ხუთეული (ისევე, როგორც სათადარიგო შემადგენლობა) წარმოდგენილია სულ სხვა, ე. წ. არატრადიციული კლუბების წევრებით („ორლანდო მეჯიკი“, „შარლოტ ჰორნეტსი“, „მაიამი ჰიტი“, „გოლდენ სტეიტ უორიორზი“ და ა. შ.).

რამდენიმე სიტყვა პირველ ხუთეულზე:

შაკილ ო"ნილი („ორლანდო მეჯიკი“) — ამ ახალგაზრდა ცენტრალურ თავდამსხმელს სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ. მათი აზრით, 1996 წლისთვის იგი დევიდ რობინსონზე უფრო ძლიერი იქნება.

ლარი ჯონსონი („შარლოტ ჰორნეტსი“) — ფიზიკურად ძლიერი ფორვარდია. თამაშის მანერით ჩარლზ ბარკლის ადარებენ. ოთხი წლის შემდეგ მისი ნეიტრალიზება ტრადიციული მეთოდებით ერთობ ძნელი საქმე იქნება.

გლენ რაისი („მაიამი ჰიტი“) — მსუბუქი, ტექნიკური ფორვარდი. მეჯიკ ჯონსონის კალათბურთიდან წასვლის შემდეგ „ნბა-ს საუკეთესო ბომბარდირის“ წოდების ყველაზე რეალური პრეტენდენტია.

კენდალ გილი („შარლოტ ჰორნეტსი“) — შემტევი მცველი. მრავალმხრივი მოთამაშე. ერთნაირად ძლიერია როგორც შეტევებში (უყვარს კალათში ბურთის ზემოდან ჩაგდება), ისე დაცვაში. კარგად იცის ამ უკანასკნელის ფასი.

ტიმ ჰარდუეი („გოლდენ სტეიტ უორიორზი“) მთავარი გამთამაშებელი. დღეს ნბა-ს ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშედ ითვლება. შარშან „დასავლეთის ვარსკვლავთა“ სასტარტო ხუთეულში მოხვდა, მაგრამ ბოლო მომენტში, საკუთარი სურვილით, თავისი ადგილი მეჯიკ ჯონსონს დაუთმო.

სათადარიგოთა შორის ჟურნალისტებმა დაასახელეს შემდეგი კალათბურთელები: ბილი ოუენსი („გოლდენ სტეიტი“), ალონზო მოურნინგი („შარლოტი“), მარკ მეიკონი („დენვერ ნაგეტსი“), ლაიონელ სიმონსი („საკრამენტო კინგზი“), ჰაროლდ მაინერი („მაიამი ჰიტი“), ერიკ მონტროსი (ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტი), გრანტ ჰილი (დიუკის უნივერსიტეტი).

რაც შეეხება ნბა-ს ჩემპიონატს, აქ გუნდებს უმთავრესად 29-34 შეხვედრა აქვთ ჩატარებული. სატურნირო ცხრილები დივიზიონების მიხედვით გამოიყურება ასე:

	მ.	წ.	%
„ატლანტა“			
„ნიუ-იორკი“	19	12	613
„ნიუ-ჯერსი“	18	15	545
„ბოსტონი“	17	17	500
„ორლანდო“	14	14	500
„ფილადელფია“	11	18	379
„მაიამი“	10	21	322
„ვაშინგტონი“	10	22	312
„ცენტრალური“			
„ჩიკაგო“	23	10	697
„კლივლენდი“	20	13	606
„შარლოტი“	17	14	548
„დეტროიტი“	16	16	500
„ინდიანა“	15	17	469
„ატლანტა“	14	17	452
„მილუოკი“	14	18	437
„შუა დასავლეთი“			
„იუტა“	21	10	677
„სან-ანტონიო“	18	13	581
„ჰიუსტონი“	15	16	484
„დენვერი“	8	22	267
„მინესოტა“	6	23	207
„დალასი“	2	27	69
„წყნარი ოკეანე“			
„ფენიქსი“	23	5	821
„სიეტლი“	22	8	733
„პორტლენდი“	20	10	667
„გოლდენ სტეიტი“	18	14	562
„ლეიკერსი“	18	14	562
„კლიპერსი“	17	16	515
„საკრამენტო“	13	17	433

კონკურს-რექვიემ „ჩერნობილის ზარის“ ქართველი ლაურეატები

1990 წელს გაზეთ „ვესტნიკ ჩერნობილის“ (უკრაინა) რედაქციამ გამოაცხადა საერთაშორისო კონკურს-რექვიემი „ჩერნობილის ზარი“ საჭადრაკო კომპოზიციაში, რომელიც 1986 წელს ჩერნობილის კატასტროფის შედეგად დაღუპულთა ხსოვნას მიეძღვნა.

ეტიუდების ჟანრში 6 ქვეყნის 65 ავტორის 70 ნაწარმოები მონაწილეობდა, II პრიზი დაიმსახურა ძმების შაქრო და რომან წურწუმიების (ჩხოროწყუს რაიონი, სოფელი ლეწურწუმე) ერთობლივმა ეტიუდმა. თბილისელმა საერთაშორისო დიდოსტატმა დავით გურგენიძემ კოლექტიურ ეტიუდში III-IV პრიზები გაიყო მოსკოველ ნიკოლაი კრალინთან ერთად. IV-V საპატიო შეფასებები თანაბარი უფლებებით გაიყო საერთაშორისო ოსტატმა ველიმირ კალანდაძემ (თბილისი).

მრავალსვლიანი ამოცანების განყოფილებაში 10 ქვეყნის 62 ავტორის 76 ნაწარმოები იყო წარდგენილი. ამ ჟანრში I საპატიო შეფასება მოიპოვა რეზო მარცვალაშვილმა (დუშეთის რაიონი, სოფელი ჩარგალი). III საპატიო შეფასება ხვდა დ. გურგენიძეს. V საპატიო შეფასება ისევ მარცვალაშვილს ერგო, ხოლო VII საპატიო შეფასება — ვ. კალანდაძეს.

ზღაპრულ კომპოზიციაში, კერძოდ, თვითშამათზე ამოცანებში 13 ქვეყნის 64 ავტორის 68 ნაწარმოები მონაწილეობდა. ამ განყოფილებაში დ. გურგენიძემ VI საპატიო შეფასება მიიღო.

გიგა კაკაბაძე

რა ხდება ქვეყანაზე

● **პარიზი.** „მონტე-კარლოს“ რალი მოიგო ფრანგმა ავტომობილისტმა დიდიე ორიოლმა (მანქანა „ტოიოტა-სელიკა“), თანაც მან ბოლო ეტაპზე ჩამოიტოვა თავისი ძირითადი მეტოქეები — ფრანგი ფრანსუა დელაკრუა და იტალიელი მასიმო ბიაზიონი (ორივე—„ფორდ-ესკორტეს“ მართავდა). მომდევნო ადგილები საერთო ჩათვლაში სწორედ ამ ავტომრბოლებს ხვდათ. 34 წლის ორიოლი ამ პრესტიჟულ რალის მესამედ იგებს. პირველ გამარჯვებას მან 1990 წელს მიაღწია, მეორეს — ორი წლის შემდეგ.

● **ათენი.** საბერძნეთის სპორტის ხელმძღვანელებთან კონტაქტების დამყარების მიზნით აქ იმყოფებოდა უკრაინის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, ოლიმპიური ჩემპიონი ვალერი ბორზოვი, რომელმაც საუბრის დროს, სხვათა შორის, განაცხადა, რომ მისი ქვეყანა სპორტული პოტენციალით მერვეა ევროპაში და მეცამეტე — მსოფლიოში.

● **ანტვერპენი.** აქ მიმდინარე პროფესიონალ ველოსიპედისტთა წყვილების ექვსდღიან რბოლაში დაწინაურდა მოსკოველ კონსტანტინ ხრაბცოვისა და ბელგიელ ეტიენ დე ვილდეს დუეტი. ოთხი დღის შემდეგ ისინი საუკეთესონი არიან (279 ქულა) და უახლოეს მდევრებს 26 ქულით უსწრებენ.

● **სანკტ-პეტერბურგი.** 1994 წლის კეთილი ნების თამაშები, ორგანიზატორთა განცხადებით, უმთავრესად დაფინანსდება შოუ-ლოტორიით, რომელსაც ერთობლივად აწყობენ ამერიკული ტელეკომპანია აი-ტი-სი და ადგილობრივი კორპორაცია „ემეცი“. ტელეკომპანიის წარმომადგენლის სტივ კორნელიუსის განცხადებით, ეს იქნება ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე აქამდე ჩატარებულ ლოტორიებს შორის ყველაზე უხვი, მრავალმილიონდოლარიანი საპრიზო ფონდით.

სელეში თუ გრაფი?

მელბურნი. ჩოგბურთელთა ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში გავიდნენ იუგოსლავიელი მონიკა სელეში და გერმანელი შტეფი გრაფი — მსოფლიოს პირველი და მეორე ჩოგნები. სელეშმა ნახევარფინალში დაამარცხა არგენტინელი გაბრიელა საბატინი — 6:1, 6:2, გრაფმა კი ესპანელი არანტა სანჩეს-ვიკარიო — 7:5, 6:4.

ეს ჩოგბურთელები ერთმანეთს ცხრაჯერ შეხვდნენ. ანგარიშია 6:3 გრაფის სასარგებლოდ:

1989 წ. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. ნახევარფინალი. გრაფი — სელეში 6:3, 3:6, 6:3.

1989. უიმბლდონი. მეთექვსმეტედფინალი. გრაფი — სელეში 6:0, 6:1.

1989. ბრაიტონი. ფინალი. გრაფი — სელეში 7:5, 6:4.

1990. „ლუფთჰანზას თასი“. ფინალი. სელეში — გრაფი 7:6, 6:4.

1990. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. ფინალი. სელეში — გრაფი 7:6, 6:4.

1991. აშშ-ის ღია ჩემპიონატი. ფინალი. გრაფი — სელეში. 6:4, 6:3.

1991. „სტივენ კაპი“. ფინალი. გრაფი — სელეში 7:5, 6:7, 6:3.

1992. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი. ფინალი. სელეში — გრაფი. 6:2, 3:6, 10:8.

1992. უიმბლდონი. ფინალი. გრაფი — სელეში 6:2, 6:1.

იმისთვის, რომ გრაფმა მსოფლიო კლასიფიკაციით გაუსწროს იუგოსლაველს და პირველი ადგილი დაიკავოს, უნდა გაიმარჯვოს ავსტრალიის ღია ჩემპიონატში და ერთი კვირის შემდეგ ტოკიოს ტურნირიც მოიგოს.

ვბს-ს ყველა ჩემპიონი

მექსიკელმა მოკრივემ ვიქტორ რაბანალესმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შეინარჩუნა პროფესიონალთა შორის 53,5 კგ. წონაში. ლოს-ანჯელესის რინგზე მან ქულებით აჯობა ფილიპინელ დიო ანდუჯარს. ეს ორთაბრძოლა მოკრივეთა მსოფლიო საბჭოს ვერსიით გაიმართა.

როგორც ცნობილია, პროფესიულ კრივში არსებობს რამდენიმე ორგანიზაცია, რომლებიც თავიანთ მსოფლიო ჩემპიონატებს ატარებენ. საყოველთაოდ ცნობილ მოკრივეთა მსოფლიო საბჭოს (ვბს), მოკრივეთა მსოფლიო ასოციაციას (ვბა) და მოკრივეთა საერთაშორისო ფედერაციას (იბფ) დაემატა კიდევ ერთი ახალი კავშირი — მოკრივეთა მსოფლიო ორგანიზაცია (ვბო). გთავაზობთ მსოფლიო ჩემპიონთა სიას ვბს-ს ვერსიის მიხედვით (პროფესიულ კრივში, მოგეხსენებათ, 17 წონით კატეგორიაა):

47,6 კგ. რიკარდო ლოპესი (მექსიკა); **49 კგ.** უმბერტო გონსალესი (მექსიკა); **50,8 კგ.** იური არბაჩაკოვი (რუსეთი); **52,1 კგ.** სუნ კილ მუნი (კორეა); **53,5 კგ.** ვიქტორ რაბანალესი (მექსიკა); **55,3 კგ.** ტრეისი პატერსონი (აშშ); 57,2 კგ. პოლ ჰოდკინსონი (ირლანდია); **59 კგ.** აზუმა ნელსონი (განა); **61,2 კგ.** მიგელ ანხელ გონსალესი (მექსიკა); **63,5 კგ.** ხულიო სესარ ჩავესი (მექსიკა); **66,7 კგ.** ჯეიმს მაკგირტი (აშშ); **69,9 კგ.** ტერი ნორისი (აშშ); **72,6 კგ.** ჯულიან ჯექსონი (ვირჯინიის კუნძულები); **76,2 კგ.** ნაიჯელ ბენი (ინგლისი); **79,4 კგ.** ჯეფ ჰარდინგი (ავსტრალია); **88,5 კგ.** ანაკლეტ გამბა (საფრანგეთი); **+88,5 კგ.** ლენოქს ლუისი (ინგლისი).

როგორც ხედავთ, მოკრივეთა მსოფლიო კავშირის ჩემპიონთა სიაში წარმოდგენილია 10 ქვეყანა ასეთი შეფარდებით:

მექსიკა — 5
აშშ — 3
ინგლისი — 2

თითო-თითო ჩემპიონი ჰყავთ: კორეას, ირლანდიას, განას, ვირჯინიის კუნძულებს, ავსტრალიას, საფრანგეთსა და რუსეთს. ყველასათვის მოულოდნელი იყო რუსეთის წარმომადგენლის იური არბაჩაკოვის წარმატება 50,8 კგ წონითს კატეგორიაში. იგი პირველი ჩემპიონია პროფესიონალთა შორის, რომელმაც წარმოადგინა ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკა ამ სიაში.

უახლოეს დროში ვბს-ს ვერსიით მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის ბრძოლები ჩატარდება:

3 თებერვალი. ლონდონი. 57,2 კგ. პოლ ჰოდკინსონი — რიკარდო სეპედა.

20 თებერვალი. მეხიკო. 63,5 კგ. ხულიო სესარ ჩავესი — გრეგ ჰოგენი.

20 თებერვალი. მეხიკო. 69,9 კგ. ტერი ნორისი — მორის ბლოკერი.

20 თებერვალი. მეხიკო. 72,6 კგ. ჯულიან ჯექსონი — ჯერალდ მაკლელანი.

20 თებერვალი. მეხიკო. 59 კგ. აზუმა ნელსონი — გაბრიელ რუელასი.

13 მარტი. ლას-ვეგასი. 49 კგ. უმბერტო გონსალესი — მაიკლ კარბახალი.

ამ წონაში ერთმანეთს ხვდებიან ვბს-სა და იბფ-ს ჩემპიონები. ასე რომ, გამარჯვებული მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს მოიპოვებს ორივე ვერსიით.

მთავარი რედაქტორი
თენგიზ ღაჩეჩილაძე

მ. კოსტავას, 14. ჩვენი მისამართი: თბილისი, 380096, ტელ: 99-56-47, 99-61-71. ინდექსი 68485 INDEX დაიბეჭდა გამომცემლობა „საქართველოს“ სტამბაში